

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>სამართალმცოდნეობა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>სამართლის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს ECTS:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არაიურიდიული პროფილის სავალდებულო კომპონენტები - 13 კრედიტი ECTS; 2. ინგლისური ენა - 25 ECTS; 3. არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი ECTS; 4. სამართლის ზოგადი პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 28 კრედიტი ECTS; 5. საჯარო სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 34 კრედიტი ECTS; 6. კერძო სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 45 კრედიტი ECTS; 7. სისხლის სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 35 კრედიტი ECTS; 8. სამართლის ასარჩევი მიმართულებებით კონცენტრირებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები 55 ECTS.
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზნებია სტუდენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შესძინოს ცოდნა საზოგადოების სამართლებრივი მოწესრიგების იდეალის განსაზღვრისათვის აუცილებელი მსოფლმხედველობითი საფუძველების, მსოფლიო სამართლებრივი სისტემებისა და მასში ქართული სამართლის ისტორიული წყაროების ადგილისა და როლის, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპების, ინსტიტუტების და ძირითადი დარგების შესახებ; 2. ჩამოუყალიბოს და გამოუმუშავოს იურიდიული დოკუმენტის შემუშავება/შედგენის და სამართლის ნორმის განმარტების მეთოდის შერჩევა-მისადაგება/გამოყენების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვით სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო სტრატეგიის ხედვის, აღწერის, ანალიზის, მოქმედების და დასაბუთების უნარი; 3. პროფესიულ საქმიანობაში მუდმივ თვითგანვითარებაზე დაფუძნებული, სამართლიანობის, დემოკრატიული ფასეულობების, სამართლებრივი ღირებულებების ამოცნობის, პატივისცემისა და პროფესიული ეთიკის წესების დაცვით მოქმედების უნარი.

<p>სწავლის შედეგები</p>	<p>წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი/მა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აღწერს და განსაზღვრავს: სამართლის არსს და მის მსოფლმხედველობით საფუძველებს, მსოფლიო სამართლებრივ სისტემებს და ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებს, ინსტიტუტებს, დარგობრივ სასწავლო დისციპლინებში ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებს და თავისებურებებს, ცალკეულ იურიდიულ პროფესიებში გამოყენებად პროფესიული ქცევის წესებს; 2. შეადგენს: იურიდიულ დოკუმენტებს (მათ შორის კითხვა, გაგება/გააზრება, ანალიზი, შეთავსება/მისადაგება, გამოყენება, იერარქიის განსაზღვრა, კოლიზიის გადაწყვეტა და სხვა); მოახდენს სამართლებრივი პრობლემების, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, დავის არსის იდენტიფიკაციას და შეიმუშავებს მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს; 3. ცნობს და პატივს სცემს სტაბილური და დემოკრატიული საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სოციალურ განზომილებას, სამართლიანობას და მოქმედებს ადამიანის უფლებების და სხვა დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა</p> <p>- 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი</p>
<p>საკონტაქტო პირი/ები</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ლევან ჯაკელი, ასოცირებული პროფესორი ტელ: 577 78 66 22 e-mail: ljakeli@bsu.edu.ge</p> <p>მურმან გორგოშაძე, პროფესორი ტელ: 551 20 55 56 e-mail: murman.gorgoshadze@bsu.edu.ge</p>